გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 181

2023 წლის 13 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.46.23.491.602) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 აგვისტოს N5/46573 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საკადასტრო კოდი N66.46.23.491.004 დაყოფისა და დაყოფის შედეგად მიღებული 271 კვ.მ. მიწის ფართის (დღევანდელი საკადასტრო კოდი 66.46.23.491.602) სახელმწიფოს საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე, შემდგომში სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ს.კ. 66.46.23.491.005), სადაც განთავსებულია სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილება, რომელიც ერთადერთია შიდა ქართლის რეგიონში. გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული სამსახურის ფუნქციური დატვირთვა მაღალია ყოველწლიურად იზრდება ვიზიტორთა რაოდენობა და დღის წესრიგში დადგა არსებული ავტოსადგომის გაფართოება. აღნიშნული მიზნისთვის გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 66.46.23.491.602) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, შემდგომში მისი სარგებლობის უფლებით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2023 წლის 25 აგვისტოს N5/46573 წერილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 271.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.46.23.491.602.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე